პროლეტარიელო ყველა ქვეყნისნ, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. ს. კ. ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობლიანი დამოკავშირების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 12 დეკემბერი, 1950 წ. № 277 (8837). ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა. არჩევნების დებულება უზრუნველყოფს დიადი სტალინური კონსტიტუციით, საბჭოთა ადამიანებისათვის მინიჭებული დემოკრატიული უფლებების ზუსტად განხორციელებას. ჩვენი ამოცანაა ფართოდ გავაჩაღოთ არჩევნების დებულების შესწავლა, ვიზრუნოთ დებულების ყველა მუხლის განუხრელად შესრულებისათვის, ყოველმხრივ მოვემზადოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1950 წ. 9 დეკემბერი.

დებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა

თავი I

საარჩევნო სისტემა

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 147 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ამომრჩეველები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული ეკენჭისყრით.

მუხლი 2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლის საფუძველზე დეპუტატია არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდება, დამოკიდებულად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სარწმუნოებისა, განათლების ცოდნისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, გარდა შშალლებისა და ამ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულნი არიან საარჩევნო უფლების ჩამორთმევით. ყოველ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს და არჩევნებში მონაწილეობს თანასწორ საფუძველზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის დაწესებულია წლოვანების ცენზი არანაკლებ 21 წლისა. ეს საწესკანონი ძალეკი უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქნან მოწინავეები, საზოგადოებრივი ცხოვრების ნამთავარ პრაქტიკულ გამოცდილების მქონე ადამიანები.

ასევე, ბურჟუაზიული დემოკრატიის არც ერთ ქვეყანაში არ არის არჩევნები ნამდვილად თავისუფალი, ნამდვილად საყოველთაო, ნამდვილად თანასწორი, ნამდვილად ფარული. როგორ შეიძლება არჩევნებს ისეთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა, ინგლისი, თავისუფალი და საყოველთაო ეწოდოს, როცა იქ ათასნაირი შეზღუდვა, ათასნაირი ცენზია დაწესებული — ქონებრივი, ბინადრობის, განათლებისა და სხვ. როგორ შეიძლება თანასწორი ეწოდოდეთ იქ არჩევნებს, როცა ეფსპლოატატორული კლასის წარმომადგენლებს ქონებრივი მდგომარეობის ან განათლების ძალით ცენზის გამო აკონონ რიგენინე ხმის უფლებას აძლევს და შეშმს, რომელსაც ალნრშნელი ცენზების გამო ან სრულიად არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ანდა თუ მიიღო არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მოსმბილი აქვს საშოალება ისე გამოიყენოს იგი, როგორც მის ინტერესებს შეეფერება.

ჩვენში არჩევნები ყოველთვის მიმინარეობს დეპუტატთა წესისა ლენინის შეიალმბისა და შემოწმების ეთიკრებაში. არჩევნები სამშოთა ხელისუფლების ორგანოების ქვემოდან, ფუნდამენტ მსაბის მხრივ შემოწმების ძმოალია საშუალებაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებენ საარჩევნო კომისიების შექმნას, ამომრჩეველთა სიების შედგენას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესს, ხმის მიცემის, არჩევნების შედეგების გამოკენვის წესს და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების დარღვევისათვის პასუხისგებლობის დაწესებას, ხალოვან მოჩანს საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირობები არჩევნებში ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობისათვის, უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილად საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების ჩატარება ფარული ეკენჭისყრით.

ამომრჩეველებისადმი, თვითეული შშრომელისა და მისი დემოკრატიული უფლების დაცვისადმი ასეთი ზრუნვა არ არსებობს არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში. პირიქით, იქ საარჩევნო კამპანიის დაწყების პირველი დღიდან არჩევნებამდე ამომრჩეი ხროვისა და საქმოსანთა მთელი ლონისძიებანი ეკიოკენ არის მიმართული, რომ გაუძელონ შშრომელებს თავიანთი უფლებების გამოყენება, დაუკარგონ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ინტერესი. ცხადია, ასეთ ვითარებაში ლაპარაკი ნამდვილ დემოკრატიზე, ყოველგვარ საფუძველ მოკლებელია. „ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ იქ არის, სადაც მოსპობილია ექსპლოატაცია, სადაც ერ არის ერით ადამიანის ადამიანის მეორის მიერ, სადაც არ არის უმუშევრობა და მათხოვრობა, სადაც კაცი არ ცახცახებს იმისათვის, რომ ხვალ შეიძლება სამუშაო, ბინა, პური დაკარგოს. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება ნამდვილი, და არა ქაღალდზე დაწერილი, პირადი და ყოველგვარი სხვა თავისუფლება“ (სტალინი).

ასეთი ქვეყანაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქვეყანაა, ჩვენი საბჭოთა სამშობლოა, სადაც მთელი ძალაფლება ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის შშრომელებს, სადაც მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონები შშრომელები ყოიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება განსაკუთარებულ ვითარებაში იწყებდა. საქართველოს შშრომელები ამჟამად უდიდესი ს

დებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

და სოფლებში გამართული გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში გამართული საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 37. ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 12 წევრის შემადგენლობით და მას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 38. ცენტრალური საარჩევნო კომისია:

ა) საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს, რომ არჩევნების მსვლელობაში გასუფთავდეს სრულიად სრულიად „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა";

ბ) განიხილავს საჩივრებს საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებაზე და ამ საჩივრების გამო გადაწყვეტილებებს გამოიტანს;

გ) აწესებს საარჩევნო ყუთების ნიმუშებს, საარჩევნო ბიულეტენების ფორმასა და ფერს, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ სოფლის საარჩევნო კომისიის ოქმის ფორმას, საუბნო და სოფლის საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმების ფორმას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობის ფორმას, საარჩევნო კომისიების ბეჭდების ნიმუშებს;

დ) აწარმოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩეული დეპუტატების რეგისტრაციას;

ე) ამზადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას არჩევნების საქმისწარმოებას.

მუხლი 39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება სოფლის საარჩევნო კომისია.

მუხლი 40. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სოფლის საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერატიული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში გამართული მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში გამართული ლენინური მოსამსახურეთა კრებებისა, სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, ტანსაცმელეულობებში და სოფლებში გამართული გლეხთა კრებებისა. საბჭოთა მეურნეობებში გამართული საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისაგან.

მუხლი 41. სოფლის საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა, და 6 წევრის შემადგენლობით და მათ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო ავტონომიურ ოლქის ტერიტორიებზე ამტკიცებენ შესაბამისად ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები და მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 50 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 42. სოფლის საარჩევნო კომისია:

ა) თავიანი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს, რომ არჩევნების მსვლელობაში გასუფთავდეს სრულიად სრულიად „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა";

ბ) განიხილავს საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებაზე და ამ საჩივრების გამო გადაწყვეტილებებს გამოიტანს;

გ) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბნების დროისაგან მოწყობას მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ;

დ) აწესებს საარჩევნო უბნების რიგის ნომრებს;

ე) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროისაგან შედგენას და ყველასათვის გაცნობას;

ვ) აწარმოებს რეგისტრაციას დეპუტატობის კანდიდატებისას, რომლებიც წამოყენებულნი არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მოთხოვნათა დაცვით;

ზ) ამზადებს საუბნო საარჩევნო კომისიებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დაწესებულები ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;

თ) აწარმოებს ხმების დათვლას და არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

ი) წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მასალებს არჩევნების შედეგების ოლქში;

კ) აძლევს არჩეულ დეპუტატს არჩევის მოწმობას;

ლ) ამარებს საქმისწარმოებას შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, ხოლო ავტონომიურ ოლქში—მშრომელთა დეპუტატების სოფლის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 43. თვითეულ საარჩევნო უბანში იქმნება საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 44. საუბნო საარჩევნო კომისიები სდგება მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, კომუნისტური პარტიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, კულტურული, ტექნიკური და სამეცნიერო საზოგადოებებისა და კანონით დადგენილი წესის თანახმად რეგისტრირებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოებში და დაწესებულებებში გამართული მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა, ჯარის ნაწილებში გამართული სამხედრო მოსამსახურეთა კრებებისა, კოლმეურნეობებში და სოფლებში გამართული გლეხთა კრებებისა, საბჭოთა მეურნეობებში გამართული საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა კრებებისა და მოსამსახურეებისა—საბჭოთა მეურნეობებში.

მუხლი 45. საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4-8 წევრის შემადგენლობით, ხოლო ამ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც 300 კაცზე ნაკლები მცხოვრები თვეკვეტა, თავმჯდომარის, მდივნისა და 1-3 წევრის შემადგენლობით, და მათ ამტკიცებენ: ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები; რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები; სოფლად—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არა უგვიანეს 40 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 46. საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში დაშვებულ შეცდომათა შესახებ და გასწორებულად შეაქვს, ეს განცხადებანი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც სია შეადგინა;

ბ) აწარმოებს საარჩევნო ბიულეტენების მიღებას საარჩევნო უბანში;

გ) აწარმოებს ხმების დათვლას დეპუტატობის თვითეული კანდიდატის მიზეზდთ;

დ) წარუდგენს სოფლის საარჩევნო კომისიას მასალებს ხმის მიცემის შედეგებზე;

ე) ამარებს შესანახად საქმისწარმოებას მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 47. ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სოფლის და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომები კანონიერად ითვლება, თუ მათში მონაწილეობს ოცეზე კომისიის საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ყველა საკითხი საარჩევნო კომისიებში სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით; როდესაც ხმები თანაბარია, საკითხს თავმჯდომარის ხმა სწყვეტს.

მუხლი 48. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სოფლის საარჩევნო კომისიებსა და საუბნო საარჩევნო კომისიებს აქვთ თავიანთი ბეჭედი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ნიმუშის მიხედვით.

თავი VI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატთა წამოყენების წესი

მუხლი 49. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 154 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს.

მუხლი 50. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლებას ანხორციელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების ორგანიზაციული ორგანიზაციები, ეს მათი რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული ორგანიზაციები, აგრეთვე საერთო კრებები მუშებისა და მოსამსახურეებისა საწარმოებში და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეებისა—ჯარის ნაწილებში, გლეხთა საერთო კრებები — კოლმეურნეობებში და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა—საბჭოთა მეურნეობებში.

მუხლი 51. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ ოლქში.

მუხლი 52. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები არ შეიძლება იყვნენ იმ ოლქის სოლეო საარჩევნო კომისიისა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, სადაც ისინი წამოყენებული არიან დეპუტატობის კანდიდატებად.

მუხლი 53. არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომელებმაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი წამოაყენეს, ვალდებული არიან დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია მოახდინონ სოფლო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 54. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომელებმაც წამოაყენეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ვალდებული არიან კანდიდატის სარეგისტრაციაზე წარუდგინონ სოფლო საარჩევნო კომისიას შემდეგი დოკუმენტები:

ა) დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებული კრების ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, პრეზიდიუმის წევრების საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: კანდიდატის წამოყენებული ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ადგილი, დრო და კრების ან სხდომის მონაწილეთა რაოდენობა, დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, საქმიანობა;

ბ) დეპუტატობის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს სათანადო საარჩევნო ოლქში მისი წამოყენებული ორგანიზაციის სახელით.

მუხლი 55. სოლეო საარჩევნო კომისია ვალდებულია რეგისტრაციაში დაბარაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატი, რომელებიც წამოყენებული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების მიერ, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მოთხოვნათა დაცვით.

დეპუტატობის ბეჭითეულ კანდიდატზე სოლეო საარჩევნო კომისია ადგენს რეგისტრაციის ოქმს დაწესებული ფორმით. რეგისტრაციის ოქმის ერთი ცალი დაუყოვნებლივ ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კანდიდატის განცხადებასთან ერთად, რომ ის თანახმაა კენჭი იყაროს სათანადო საარჩევნო ოლქში.

მუხლი 56. სოლეო საარჩევნო კომისიის უარი იმაზე, რომ რეგისტრაციაში გაიტაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელს გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, პარტიულობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება სოლეო საარჩევნო კომისიის მიერ, არა უგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე.

მუხლი 58. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

მუხლი 59. სოლეო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 15 დღისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე დაბეჭდონ და დაუგზავნონ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას საარჩევნო ბიულეტენები.

მუხლი 60. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენებზე და იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

მუხლი 61. თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა სოლეო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ისე, როგორც საქართველოს სსრ თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დიდბაკოლებლად გასწოლის აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე. პრესაში და სხვა საშუალებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

თავი VII

ხმის მიცემის წესი

მუხლი 62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები მოხდება ერთი დღის, საქართველოს სს რეპუბლიკისათვის საერთო დღის, განმავლობაში.

მუხლი 63. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ვადამდე. არჩევნები მოხდება არასამუშაო დღეს.

მუხლი 64. არჩევნების წინ ეკასასწესი 20 დღის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისია ყოველდღე აქვეყნებს ან რამე სხვა საშუალებით ფართოდ აცნობს ამომრჩეველს არჩევნების დღისა და არჩევნების ადგილს.

მუხლი 65. ამომრჩეველთა ხმის მიცემა მოხდება არჩევნების დღეს დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროთი.

მუხლი 66. არჩევნების დღის ღილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოაშენებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმის მიხედვით შედგენილ ამომრჩეველთა სიას, რის შემდეგ ხელიკეთ ეკეთებინ ყუთებს კომისიის ბეჭდითა და იწყებს ამომრჩეველებს დაიწყონ ხმის მიცემა.

მუხლი 67. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საგანგები ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო ბიულეტენებზე შესაბამებად. ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახებში ან კაბინებში აკრძალულია ვისიმე ყოფნა, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისაც, გარდა ხმის მიმცემისა.

მუხლი 68. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიმცემისათვის გამოყოფილ შენობაში. ამომრჩეველთა ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

მუხლი 69. საარჩევნო შენობაში გამოცხადებული ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ან საუბნო საარჩევნო კომისიის საამისოდ რწმუნებულ წევრს წარუდგენს ან პასპორტს. ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და იმავე სიაში სათანადო აღნიშვნის შემდეგ ღებულობს დაწესებული ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენს.

მუხლი 70. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ან კაბინაში ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც იგი ხმას აძლევს, ხოლო დანარჩენი გვარები შლის, შემდეგ ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან და შიგ უშვებს საარჩევნო ბიულეტენს.

მუხლი 71. ამომრჩეველი, რომელსაც წერაკითხვის უცოდნობისობისა ან რამე ფიზიკური ნაკლის გამო შესაძლებლობა არა აქვს დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს მიიწვიოს იმ ოთახში ან კაბინაში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები იესება, რომელიმე სხვა ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად.

მუხლი 72. საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

მუხლი 73. იმ პირებს რომლებიც საარჩევნო შენობაში გამოცხადდნენ „ხმის მიცემის უფლების მოწმობით", თანახმად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 21 მუხლისა, საუბნო საარჩევნო კომისია შეიტანს ამომრჩეველთა სიაში, რომელსაც ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 74. საარჩევნო შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრესათვის სავალდებულია.

მუხლი 75. არჩევნების დღის ღამის 12 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და კომისია აწყობს საარჩევნო ყუთების გახსნას.

თავი VIII

არჩევნების შედეგების გამორკვევა

მუხლი 76. შენობაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად აქვთ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

მუხლი 77. საუბნო საარჩევნო კომისია ყუთების გახსნის შემდეგ ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რიცხვს ადარებს იმ პირთა რიცხვს, რომელებმაც ბიულეტენები მიიღეს ამომრჩეველთა სიის მიხედვით, და შედარების შედეგები შეაჯამა ოქმში.

მუხლი 78. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით აცხადებს ხმის მიცემის შედეგებს თვითეული ბიულეტენის მიხედვით.

მუხლი 79. ბიულეტენები ითვლება ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთი კანდიდატზე ხმა, აგრეთვე არადაწესებული ნიმუშის ბიულეტენები.

მუხლი 80. საარჩევნო ბიულეტენები სინამდვილეზე ეკვის წარმოშობის დროს საკითხს სწყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრით, რაც ოქმში აღინიშნება.

მუხლი 81. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების დათვლა და ხმის მიცემის შედეგების ჩაწერა ხდება თვითეული ცალკე კანდიდატის მიხედვით.

მუხლი 82. საუბნო საარჩევნო კომისია დაწესებული ფორმით შეადგენს ხმის მიცემის ოქმს ორ ცალად, რომელსაც ხელს მოაწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, მათ შორის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 83. საუბნო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) საერთო რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებიც ამომრჩეველთა სიაში არიან;

გ) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს;

დ) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ე) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებიც ცნობილია გაუქმებულად;

ვ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი;

ზ) დეპუტატობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი;

თ) საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილი განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი.

მუხლი 84. ხმების დათვლის დამთავრებისა და ოქმის ხელმოწერის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომაზე აცხადებს ხმის მიცემის შედეგებს.

მუხლი 85. ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია სავაგბენო კაცის ხელით დაუყოვნებლივ გაუგზავნოს სოლეო საარჩევნო კომისიას ხმის მიცემის ოქმის ერთი დალუქული ცალი.

მუხლი 86. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დალუქოს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი ან ხმის მიცემის ოქმის მეორე ცალთან, საქმისწარმოებასთან და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედთან ერთად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შესანახად უნდა ჩააბაროს: ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სოფლად — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მუხლი 87. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ შეინახონ საარჩევნო ბიულეტენები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოითხოვებამდე.

მუხლი 88. იმ შენობაში, სადაც სოლეო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც ეს სპეციალურად აქვთ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

მუხლი 89. სოლეო საარჩევნო კომისია აწარმოებს ხმების დათვლას საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი ოქმებმის საფუძველზე და არკვევს დეპუტატობის თვითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

მუხლი 90. სოლეო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის ოქმს აგენს ორ ცალად, რომელსაც ხელს აწერენ სოლეო საარჩევნო კომისიის წევრები, მათ შორის აუცილებლად თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 91. სოლეო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხვი ოქმში;

ბ) რიცხვი საუბნო საარჩევნო კომისიებისა, რომლებმაც წარმოადგინეს ხმის მიცემის ოქმები;

გ) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოქმში;

დ) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

ე) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ვ) რიცხვი ბიულეტენებისა. რომლებიც ცნობილი გაუქმებულად;

ზ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი;

თ) დეპუტატობის თვითეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი;

ი) სოლეო საარჩევნო კომისიაში შეტანილი განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და სოლეო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი.

მუხლი 92. ხმების დათვლის დამთავრებისა და ოქმის ხელმოწერის შემდეგ სოლეო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომაზე აცხადებს არჩევნების შედეგებს.

მუხლი 93. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომელნიც მიცემულია ოლქში და ცხრილია ნამდვილად არჩეულად ითვლება.

მუხლი 94. სოლეო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატობის არჩეულ კანდიდატს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობას აძლევს.

მუხლი 95. ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ სოლეო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია სავაგბენო კაცის ხელით დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხმის მიცემის ოქმის ერთი დალუქული ცალი.

ოქმის მეორე ცალს, საუბნო საარჩევნო კომისიების ხმის მიცემის ოქმებთან, საქმისწარმოებასთან და საარჩევნო კომისიის ბეჭედთან ერთად სოლეო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შესანახად აბარებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—მშრომელთა დეპუტატების სოლეო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 96. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, სოლეო საარჩევნო კომისია ამას ცალკე აღნიშნავს ოქმში, აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ამავე დროს აცხადებს ხელახალ კენჭისყრას იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა, ოგრეთვე ნიმნაგს ხელახალი კენჭისყრის დღეს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

მუხლი 97. თუ ოქმში მიცემული ხმათა რაოდენობრივ შედეგზე ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომელსაც იმ ოლქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, სოლეო საარჩევნო კომისია ამას ცალკე აღნიშნავს ოქმში და დაუყოვნებლივ აცნობებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ამ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირისა ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

მუხლი 98. დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ასევე როგორც ახალი არჩევნები, ნაკლებად არანამდვილ არჩევნებად ცნობილთა, მოხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილია პირველი არჩევნებისათვის, და სრულ შესაბამისად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებისა".

მუხლი 99. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი გავიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს ორი თვის ვადისა მას შემდეგ, რაც დეპუტატი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობიდან გავიდა, ნიშნავს სათანადო საარჩევნო ოლქში ახალი დეპუტატის არჩევნებს.

მუხლი 100. ყველა ის, ვინც ცალადობისა, მუტაკეობისა ან მოსაყიდვის გზით ხელს შეუშლის საქართველოს სსრ მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში,—დაისჯება საარჩენო ფოლოგებენ ან ნიშნავს ორ წლამდე.

მუხლი 101. საბჭოს თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომელიც ყალბად გააკეთებენ საარჩევნო ფოლოგებენ ან ნიშნავს ორ წლამდე, —დისაჯებიან თავისუფლებისა ან ნიშნავს ორ ...

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები

★ ★

საბჭოთა თეატრის სიამაყე

ვერიკო ანჯაფარიძე — ქართული საბჭოთა თეატრის ერთი ფუძემდებელთაგანი, საბჭოთა სცენის მშვენება და სიამაყე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი — თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არის წამოყენებული.

[illegible]

... ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამიტომაც ასე გულისხმიერი და თავგამოდებულია ის საბჭოთა დრამატურგიისათვის. ამიტომაც დიდი შემოქმედებითი მგზნებარებით მონაწილეობს ...

[illegible]

... რომელიც იცავს საბჭოთა ხელოვნების ღირსებას, გამოხატავს მის დიდ ძალას, ხალხს უყვარს, პატივს სცემს და ენდობით მოსავს. ამიტომაც არის, რომ ვერიკო ანჯაფარიძე დასახელებულია თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეჭვი არ არის, რომ ყველა მშრომელი სიხარულით, მისცემს ხმას ჩვენი ქვეყნის ამ სახელოვან და ღირსეულ შვილს.

დ. ჯანელიძე

სახელმოხვეჭილი არქიტექტორი

საბჭოთა წყობილებამ მისცა შესაძლებლობა მიხეილ მელიას, ძველი რკინიგზელის შვილს, მიეღო უმაღლესი განათლება, ყოველმხრივ განევითარებინა თავისი ნიჭი და სახელმოხვეჭილი არქიტექტორი გამხდარიყო.

სურათზე: თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მიხეილ მელია

★

მიხეილ მელიამ 1932 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სამშენებლო ინსტიტუტი და იმავე წელს მოსკოვის საარქიტექტურო-სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურაში შევიდა. ასპირანტურაში 3 წლის სწავლის შემდეგ იგი თბილისში დაბრუნდა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა საპროექტო ორგანიზაციებში. 15 წლის ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში მან მრავალი ღირსშესანიშნავი პროექტი შექმნა.

[illegible]

... ერი მორჩისა და ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის უყვართ ამომრჩევლებს მიხეილ მელია. მან სავსებით გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა, ამიტომაც წელს მეორედ დაასახელეს იგი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

მ. მიხელიძე

მოწინავე კოლმეურნე, გულისხმიერი დედა

როცა მაღალმთიან სოფელ ხრომისწყაროში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, მასში ერთ-ერთი პირველთაგანი საკა ხიბლიშვილის ოჯახი შევიდა. საკა ხიბლიშვილის მეუღლეს ტასოს ადრე ჩვეულებრივ დიასახლისად და ოჯახის კარგ დედად იცნობდნენ.

რიგით გლეხ ქალს კოლექტიურმა შრომამ უკარნახა ოჯახის ჩარჩოებს ...

[illegible]

... ურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი სადგომით.

მიმდინარე წელსაც ტასო ხიბლიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ძროხების წველადობის გადიდებას. საუკეთესოდ უვლიდა მისთვის მიჩენილ პირუტყვს. ტასომ თავი ისახელა საზაფხულო იალაღებზე ყოფნის ...

[illegible]

... ლებანი. მას შემდეგ სოფლის საკეთილდღეო შრომაში უფრო მეტი უნარი, უფრო მეტი ინიციატივა გამოიჩინა ტასო ხიბლიშვილმა.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის სოფელ ხრომისწყაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შესაფერისი ბინა არ ჰქონდა. დეპუტატმა ტასო ხიბლიშვილმა კოლმეურნეობის წინაშე დააყენა ეს საკითხი. მის აზრს, ისე როგორც ყოველთვის, ანგარიში გაუწიეს, მიიღეს გადაწყვეტილება პირუტყვისათვის ახალი ბინის აშენების შესახებ. ამ გადაწყვეტილებას ჩქარა ცოცხალი საქმე მოჰყვა. ახლა ხრომისწყაროს სტალინის სახელობის კოლმე...

... უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით მუშაობს დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად დეპუტატობის კანდიდატი ტასო ხიბლიშვილი. თანასოფლელები მას კვლავ აომოუჩენენ დიდ ნდობას, მის კანდიდატურას სიყვარულით, ერთსულოვნად მისცემენ ხმას 17 დეკემბერს.

ვ. შერმადინი — ნდობით აღჭურვილი პირი

თ. ჩიტიშვილი — ლენინგორის რაიონის ლარგვისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ლ. გიზოევი — სოფელ ხრომისწყაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

სპახანოველი მევენახე

ლამაზ ხეობაში, მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირას გადაშლილია სოფელ ოძისის ბერიას სახელობის კოლმეურ...

[illegible]

... დუშეთის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოძისელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაასა...

[illegible]

... ტექნიკას, უხვი მოსავლის მიღების მეთოდს.

სამოცდაერთი წლის კაცია ონისიმე, წვერ-ულვაში გასთეთრებია, მხრებში ოდნავ მოხრილა, მაგრამ შრომაში არავის ჩამოუვარდება. გასულ წელს მან 3 ჰექტარი ვენახის თითოეულ ჰექტარზე 76,6 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

... ობისაა. მადლობა დიდ სტალინს, რომელმაც კოლმეურნე გლეხობა კულტურული და შეძლებული ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა. პირობას გაძლევთ პირნათლად გავამართლო თქვენი ნდობა და მომავალ წელს უფრო მეტი მოსავალი მოვიყვანო.

ოძისელებს სჯერათ, რომ დეპუტატობის მხცოვანი კანდიდატი მათ ნდობას გაამართლებს.

ა. თოდაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

პოლიტიკური კომიტეტის 7 დეკემბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის 7 დეკემბრის დღის სხდომის დასაწყისში გრძელდებოდა განხილვა საფრანგეთის დელეგაციის წინადადებისა, რომ გადაედოთ ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის საკითხის განხილვა და დაუყოვნებლივ შედგომოდნენ კორეაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ...

[illegible]

... ლიად არასწორად მიაჩნდა დღის წესრიგში განსახილველი საკითხის შეტანა, ვინაიდან იგი ხელოვნურია და წარმოადგენს პოლიტიკურ მანევრს, რათა მიჩქმალონ კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ნამდვილი ინტერვენცია. კორეაში არ არსებობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის შეიარაღებული ძალების არავითარი ინტერვენცია, თქვა ა. ი. ვიშინსკიმ.

პოლონეთის დელეგაციის მეთაური ს. ვერბლოვსკი აგრეთვე გამოვიდა ამერიკის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ, რის შემდეგაც მოხდა კენჭისყრა. ინგლის-ამერიკის ბლოკმა მორჩილად მიიღო ამერიკის ეს წინადადება, რომელსაც ხმა მისცა 48 დელეგაციამ. ...

[illegible]

შემდეგ გამოსულმა ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ იკისრა ამერიკის იმპერიალიზმის დამცველის როლი. გაიმეორა რა ცილისწამება, თითქოს კორეაში არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „ინტერვენცია", რომულომ განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ექვსი დელეგაციის რეზოლუციის პროექტს.

ვინაიდან სხვა დელეგატთა შორის არავინ არ მოისურვა განსახილველ საკითხზე გამოსვლა, სხდომა დაიხურა.

პოლიტიკური კომიტეტის 8 დეკემბრის დილის სხდომა

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო კამათი ეგრეთწოდებული „კორეაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერვენციის" საკითხზე.

როგორც ვიუწყებოდით, ეს საკითხი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილია ამერიკის დელეგაციის დაჟინებით იმისათვის, რომ გადაედოთ ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის საკითხის განხილვა და ჩამოეშორებინათ ...

[illegible]

... რომელიც, როგორც ვიუწყებოდით, შეიცავს მოწოდებას, რომ „ყველა სახელმწიფომ და ხელისუფლებამ" თავი შეიკავოს ჩრდილოეთ კორეის ხელისუფალთათვის დახმარების გაწევაში და მიიღოს ღონისძიებანი „ყველა იმ ცალკეული მოქალაქის, ცალკეული პირისა თუ ნაწილის დაუყოვნებლივ გაყვანისათვის, რომლებიც შეიძლება ამჟამად კორეაში იმყოფებოდნენ".

ამგვარივე უსაბუთო მსჯელობით გამოვიდა ეკვადორის დელეგატი კევედო.

[illegible]

... ეთწოდებულ „ინტერვენციას" კორეაში საომარი მოქმედების გამო საერთო მსჯელობის შემდეგ ურუგვაის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ეთანხმება ექვსი ქვეყნის დელეგაციების რეზოლუციის პროექტს, ...

... განსახილველ საკითხთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდა, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დისკუსიაში მონაწილეობის მსურველნი აღარ არიან. ამასთან დაკავშირებით კომიტეტის სხდომა დაიხურა.

პოლიტიკური კომიტეტის 8 დეკემბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის 8 დეკემბრის დღის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია კორეაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეგრეთწოდებული „ინტერვენციის" საკითხზე.

კუბის წარმომადგენელმა გუტიერესმა და გომინდანელმა მხარი დაუჭირეს ექვსი დელეგაციის რეზოლუციის პროექტს.

შემდეგ გამოსულმა საფრანგეთის წარმომადგენელმა შოველმა თავისი სიტყვა მიუძღვნა ექვსი დელეგაციის რეზოლუციის პროექტის ...

[illegible]

... სათვის ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ უშიშროების საბჭოს უმრავლესობა ამას უგულებელყოფდა. 475-მილიონიან დიდ ჩინელ ხალხს ვერ მიუღწევია სამართლიანობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განაგრძო შიროკიმ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმრავლესობა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით დაადგა წყნარი ოკეანის რაიონში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკისა და აგრესიული მოქმედების უკანონო ლეგალიზაციის ...

[illegible]

... არაერთხელ მიექცევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებათ...

... ... რომელიც მხარი დაუჭირა ექვსი დელეგაციის რეზოლუციის პროექტს, თავმჯდომარემ განაცხადა, დისკუსიაში მონაწილეობის მსურველი აღარავინ არისო, და სხდომა დაიხურა.

იაპონიაში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცები ხელს აწერენ სტოკჰოლმის მოწოდებას

შანხაი, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იქ გამოირკვა, რომ კიუსიუზე დაბანაკებული ამერიკელთა არმიის ერთ-ერთი ნაწილის მთელმა რიგმა ჯარისკაცებმა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიცერო ემუქრებოდა კორეის ფრონტზე დაუყოვნებლივ გაგზავნას, ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის მოწოდებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუცია მშვიდობისათვის ბრძოლაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ამოცანების შესახებ

ბუქარესტი, 9 დეკემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო რეზოლუცია მშვიდობისათვის ბრძოლაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ამოცანების შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია:

1. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიურო აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის ბუდაპეშტის სესიის (1950 წ. მაისი) შემდგომ პერიოდს ახასიათებს ის, რომ იმპერიალისტური ძალები ომის მომზადებიდან პირდაპირ აგრესიაზე გადავიდნენ. ამერიკის იმპერიალიზმი გამალებით ცდილობს განახორციელოს თავისი მსოფლიო ბატონობის გეგმები. ტრესტებისა და მონოპოლიების მესვეურთა ბრძანებით ამერიკის ჯარები თავს დაესხნენ კორეის სრულიად უდანაშაულო მოსახლეობას, ანგრევენ და აპარტახებენ ამ ქვეყანას... [illegible]

...ზული ხდებიან კაპიტალისტ-მილიონერების მხა-სურვილზე.

მუშებისათვის არსებობს, ერთი მხრივ, ან მშვიდობა და შემდგომი ბრძოლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ან, მეორე მხრივ, — ომი, რომელსაც მოჰყვება ახალი აურაცხელი უბედურება, ნგრევა და სიღატაკე. ამიტომ მშრომელნი უდიდესად დაინტერესებული არიან იმით, რომ მამაცურად იბრძოლონ მშვიდობისათვის.

4. ამის საფუძველზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიურო ერთსულოვნად იწონებს და ენთუზიაზმით უჭერს მხარს მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებს.

რეზოლუციაში მოყვანილია ეს გადაწყვეტილებანი და შემდეგ ნათქვამია:

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიურო მიესალმება ხალხთა დიადი საბჭოს — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შექმნას, რომელმაც იკისრა კეთილშობილური ამოცანა — დაიცვას მტკიცე, ნამდვილი მშვიდობა, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

5. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ყველა ეროვნულ პროფკავშირულ ცენტრს, პროფკავშირთა ყველა საერთაშორისო გაერთიანებას (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხაზით) და ყველა პროფკავშირს აძლევს რჩევას:

ა) ფართოდ გააცნონ ყველა მშრომელს პრესის, რადიოს, კინოს, პროფკავშირული კრებების, თათბირების საშუალებით, მუშაობის ადგილებზე და ა. შ.) მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი;

ბ) მოსთხოვონ პარლამენტების დეპუტატებს და მთავრობებს კონგრესის გადაწყვეტილებათა კონკრეტულად გამოყენება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც შეესაბამება ამ გადაწყვეტილებებს;

გ) მოაწყონ მშრომელთა სულ უფრო გადამწყვეტი მოქმედება საჭურვლის წარმოებისა და გადაზიდვის წინააღმდეგ;

დ) განამტკიცონ სოლიდარობა კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხებთან მათს ბრძოლაში ეროვნული განთავისუფლებისათვის და სულ უფრო მეტი დახმარება გაუწიონ კორეის ხალხს, რომელიც ამერიკის აგრესიის მსხვერპლია;

ე) შეიმუშაონ და განახორციელონ ერთიანობის ძლიერი მოძრაობის შექმნის კონკრეტული გეგმა, რათა ხელი შეუშალონ ხელახალი შეიარაღების პროექტების და განსაკუთრებით გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის... [illegible]

ვ) შეისწავლონ და გააცნონ პროფცენტრებს საწარმოებში მშვიდობის დაცვის კომიტეტების მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები, შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი ამ კომიტეტების მომავალი ამოცანების შესახებ;

ზ) მხარი დაუჭირონ და დახმარება გაუწიონ ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით ევროპის, მშრომელთა და პროფკავშირული ორგანიზაციების მოქმედების გაერთიანებას, რათა ხელი შეუშალონ გერმანიის ხელახალ შეიარაღებას;

თ) ხელი შეუწყოს ეროვნულ პროფცენტრებს სხვადასხვა ქვეყანას შორის მუშათა დელეგაციების გაცვლის საქმეში, აგრეთვე გასწიოს ამ დელეგაციების საანგარიშო მოხსენებათა პოპულარიზაცია;

ი) გააძლიეროს ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, ამასთან განსაკუთრებით აღნიშნოს კავშირი, რაც არსებობს მშვიდობისათვის ბრძოლასა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას შორის;

კ) შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში წინადადება, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღების ხარჯების შემცირებას და ამ სახსრების გამოყენებას ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის;

ლ) პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებებთან ერთად (პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაციის ხაზით) შეიმუშაოს წინადადებანი ყველა ქვეყანას შორის ნორმალური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

ბერლინი, 8 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო გადმოგვცემს, ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის წინადადების გამო გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ მას ეთანხმება მთელი გერმანელი ხალხი, მიესალმება პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის წინადადებას ფედერალური კანცლერის ადენაუერისადმი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოლაპარაკების შედეგად გამონახონ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და საზავო ხელშეკრულების მომზადების საერთო გზა. გერმანიის მოსახლეობის ყველა წრისაგან სულ მეტი რაოდენობით მოდის ცნობები, რომ ისინი ეთანხმებიან ამ წინადადებას, რაც მოწმობს, რომ ყველა გერმანელი მოუთმენლად მოელის მომენტს, როცა მიღწეულ იქნება ურთიერთგაგება და მოეწყობა უსაშინელესი საფრთხისაგან ერის გადარჩენის შესაძლებლობის ერთობლივი განხილვა.

პრემიერ-მინისტრმა გროტევოლმა, მოქმედებდა რა მთელი გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ, თავის წერილს საფუძვლად დაუდო საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების პრაღის წინადადებანი.

წინადადება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთაგან პარიტეტულ საფუძველზე სრულიად გერმანიის დამფუძნებელი საბჭოს შექმნის შესახებ მომენტის მოთხოვნაა და აუცილებელია გერმანიის მშვიდობისა და ეროვნული ხსნის უზრუნველყოფისათვის. პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის ეს წინადადება, რომლის მისაღებადაც მას არავითარი პირობა არ წამოუყენებია, და მოლაპარაკების დაწყებისათვის გულწრფელი მზადყოფნა, წარმატებითი მოლაპარაკების ახალ დიდ შესაძლებლობას იძლევა.

სრულიად გერმანიის დამფუძნებელი საბჭო შექმნიდა იმის წინაპირობებს, რომ დაუყოვნებლივ გამართოს მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. სრულიად გერმანიის დამფუძნებელი საბჭო მოამზადებდა აგრეთვე პირობებს ეროვნული კრების სრულიად გერმანიის არჩევნებისათვის.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გერმანიის პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწენი შეიკრიბონ მოსალაპარაკებლად. ამაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ჩვენი ერის ბედი. გერმანელთა სასიცოცხლო საქმეა ინიციატივა და ხმამაღლა გამოვიჩინოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ გერმანელთა შორის ურთიერთგაგებას და გერმანიის ერთიანობას.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ გერმანელებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ პასუხისმგებლობა, უარყონ პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის რეალური, დამაჯერებელი და მისაღები წინადადებანი. ნამდვილი გერმანელი ვერ იტყვის უარს იმაზე, რომ წარმოებდეს მოლაპარაკება, რომლის მიზანია ასეთი ურთიერთგაგების მიღწევა.

რაც უფრო ნათლად და მტკიცედ განაცხადებს გერმანელი ხალხის ყველა წრე, რომ ეთანხმება პრემიერ-მინისტრ გროტევოლის წერილს, მით უფრო მალე იქნება შეტანილი წინადადებანი ერთობლივი მოლაპარაკების ამოსავალი პუნქტის შესახებ. გერმანელი ხალხი მოელის ნათელ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანია კვლავ გაერთიანდება და მთელი გერმანელი ერი დაადგება იმ მშვიდობიანი მშენებლობის გზას, რომელსაც საფრთხეს ვერაფერი ვერ შეუქმნის.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი".

შემთხვევა თურქეთის მეჯლისში

სტამბოლი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ენი საბახის" ცნობით, ამას წინათ მეჯლისის შენობაში დააკავეს ბავშვი, რომელსაც ჯიბეში უპოვეს ხელმოუწერელი ბარათი. ბარათში ნათქვამი იყო, რომ ბავშვის მამას არაერთხელ მიუმართავს მეჯლისისათვის თხოვნით მიეცათ მისთვის სამუშაო, რომ მას საშუალება აღარ აქვს არჩინოს ოჯახი და ამიტომ ბავშვს უტოვებს მეჯლისს და სთხოვს არ ძებნონ მშობლები.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 10 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის ჯარები და ჩინელი მოხალისენი განაგრძობდნენ მთელ ფრონტზე ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა უკანდახეული ჯარების დევნას.

პეკინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ჩრდილოეთ კორეიდან იუწყება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 3 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ მტრის ზურგში მყოფმა კორეის სახალხო არმიის ნაწილებმა ფრონტზე მოქმედ სახალხო არმიის ნაწილებთან და ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მტკიცე თანამოქმედებით გაათავისუფლეს ვრცელი რაიონები, მათ შორის ბევრი ქალაქი და სოფელი.

ცნობაში აღნიშნულია, რომ სახალხო არმიის ნაწილებმა თითქმის მთლიანად გაათავისუფლეს კანვონის პროვინცია, აგრეთვე იჩხონის (ისენი), ფხენგანის (ხეიკო), ჩხოლვონის (ტეცუგენი), კიმხვის (კინკა), ხვაიანის (ვაი-იო), ხვაჩხონის (კასენი), იანგუს (იოკო), კაფხენის (კახეი), ინჯეს (რინტეი), იიანის (ძიითო) მაზრები და ტხონჩხონისა (ცუსენი) და ჩხუნჩხონის (სიუნსენი) მაზრების ნაწილები, აგრეთვე ოთხი სხვა მაზრა.

ხვანხეს პროვინციაში სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ოთხი მაზრა, მათ შორის სინგეს (სინკეი), კიმჩხონისა (კინსენი) და სუანის (სუიანი) მაზრები.

სამხრეთ ფხენიანის პროვინციაში სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს იანდოკის (იოტოკუ) მაზრა და სხვა რაიონები. კენგის პროვინციაში გათავისუფლებულია ერთი მაზრა.

ამავე დროს სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ქალაქები: სინგე (სინკეი), ჩხუნჩხონი (სიუნსენი), ფხენგანი (ხეიკო), ხვაიანი (ვაი-იო), კიმხვა (კინკა), იანგუ (იოკო), ინჯე (რინტეი), ხვაჩხონი (კასენი), კაფხენი (კახეი) და სხვა ქალაქები.

ამ რაიონების განთავისუფლების დროს სახალხო არმიის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალ ძალას და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი.

განთავისუფლებულ რაიონებში თავიანთი საქმიანობა განაახლეს ადგილობრივმა ხელისუფლებმა და კორეის შრომის პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. ამ რაიონების მოსახლეობა გულთბილად მიესალმება სახალხო არმიას და აქტიურ დახმარებას უწევს მტრის მოსპობაში.

გაფრთხილება ამერიკელ გენერლებს

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთის ტრესტის სკრიპს-ჰოვარდის კორესპონდენტი იუწყება, თეთრმა სახლმა (ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია) უბრძანა მაკარტურს და მთელს ამერიკელთა სარდლობას შორეულ აღმოსავლეთში არავითარი კომენტარი აღარ გასცენ კორეაში ომის განვითარების შესახებ.

ინტერვენტების მხეცობა კორეაში

შანხაი, 10 დეკემბერი. (საკდესი). იაპონურმა გაზეთმა „ჯაპან ნიუსმა" გამოაქვეყნა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის კოლინის ცნობა, სადაც აღწერილია კორეელი პატრიოტების მხეცური წამება, რაც ამერიკელმა ინტერვენტებმა და მათმა ლისინმანელმა თანამოაზრეებმა ჩაიდინეს სარივონიდან უკანდახევის დროს.

6 დეკემბერს, წერს კორესპონდენტი, სამხრეთ კორეის პოლიციამ სრულიად გაუსამართლებლად გამოიყვანა დასახვრეტად სარივონის რკინიგზის სადგურის რაიონში 56 პოლიტიკური პატიმარი. ტყვიამფრქვევის ჯერის შემდეგ 17 კაცი კიდევ ცოცხალი დარჩა, თუმცა სერიოზულად დაჭრილი იყვნენ. ამერიკელი პოლკოვნიკის მეთვალყურეობით სამხრეთკორეელმა პოლიციელებმა ჩატვირთეს ისინი ღია სასაქონლო ვაგონში, რომელიც უკვე გავსებული იყო სხვა პატიმრებით—მამაკაცებით, ქალებითა და ბავშვებით. ერთ-ერთ დაჭრილს მოწყვეტილი ჰქონდა ხელი, მეორე დაჭრილი იყო სახეში, დანარჩენები კი—მუცელსა და მკერდში. მათი უმეტესობა სისხლით იცლებოდა და ვეღარ მოძრაობდა.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დაჭრილთათვის არ აღმოუჩენიათ არავითარი სამედიცინო დახმარება, მათ არ აძლევდნენ არც წყალს, არც საჭმელს. კორესპონდენტის სიტყვით, სარივონის სამხედრო პოლიციის უფროსმა ლისინმანელმა მაიორმა ჩან იონ სუნმა ცინიკურად განაცხადა, „ყველა პატიმარს მოვიშორებთ", სანამ ქალაქში ჩრდილოეთკორეელთა ჯარები შემოვიდოდნენო.

ამერიკული გაზეთი კორეაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის" სეულელი კორესპონდენტი კეიზ ბიჩი წერს, რომ მაკარტურის ჯარები ან უნდა გავიდნენ კორეიდან, ან და მათ მოელით თითქმის აუცილებელი განადგურება. ბიჩი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთკორეელთა ჯარებისა და ჩინელ მოხალისეთა რაზმების დღევანდელი კონტრშეტევის შედეგად „ამერიკელთა ზარალი უფრო გადიდდა, ვიდრე ოდესმე ომის დაწყებიდან... სამხედრო ჰოსპიტლები ტოკიოში სავსეა".

ინგლისური ჟურნალი კორეაში ამერიკელთა ავანტიურის შედეგების შესახებ

ლონდონი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ყოველკვირეული „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნი", ეხება რა ყველაზე რეაქციონერ ამერიკელ სენატორთა ცოფმორეულ განცხადებებს, რომლებიც მოუწოდებენ დაწყებულ იქნას ომი ჩინეთის წინააღმდეგ, წერს: „თუ ამერიკელმა უგუნურებმა გაიმარჯვეს, მნიშვნელოვნად შემცირდება ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცთა რიცხვი, რომელთა სიცოცხლის გადარჩენაც შესაძლებელი იყო".

სტატიაში სათაურით „ძალის პოზიციები?" ჟურნალი წერს: „რამდენიმე დღის განმავლობაში ნაშსხვრევებად იქცა არა მარტო ერთი კამპანიის სტრატეგია, არამედ აგრეთვე მთელი შენობა ამერიკის საგარეო პოლიტიკისა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ორი თეზისით: „კომუნიზმის სამხედრო ალაგმვა" და „მოლაპარაკება მხოლოდ ძალის პოზიციებიდან"...

ჟურნალის სიტყვით, ის, რაც თავდაპირველად გვეჩვენებოდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინააღმდეგობად „აგრესიისადმი", ბოლოს და ბოლოს გადაიქცა ამერიკის უგუნურ თამაშად, ძალის პოლიტიკის დიპლომატიად. თამაში ჩაიფუშა..."

ჩინეთის მთავრობამ გაათავისუფლა ტყვე ტიბეტელი ჯარისკაცები და ოფიცრები

პეკინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 1.891 ტიბეტელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც ჩამდოს (ჩანდუ) განთავისუფლების დროს ტყვედ დანებდნენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გაათავისუფლა და შინ დაბრუნების საშუალება მისცა.

განთავისუფლებამდე ამ ტყვე ტიბეტელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ჩინეთში გაიარეს სწავლების მოკლევადიანი კურსი. სწავლების დამთავრების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ ეს პერიოდი თავიანთი სიცოცხლის უბედნიერეს დროდ მიაჩნიათ. ბევრმა თქვა, რომ ახლა აეხილა თვალი და საშუალება მიეცა გაეგო, რომ სანამ ტიბეტელი ხალხი არ დააღწევს თავს იმპერიალისტებს, იგი თავისუფალი ვერ იქნება და ვერ დაუბრუნდება ჩინეთის ხალხთა დიდ ოჯახს.

შინ წასვლის წინ მათ იმედი გამოთქვეს, რომ განთავისუფლების სხივი მალე მოეფინება ლხასას და მთელ ტიბეტს.

ჭადრაკი

სსრ კავშირის XVIII პირველობა

9 დეკემბერს შედგა [illegible] წინა ტური. ამ ტურის სპორტულ შედეგებს შეეძლო გამოერკვია საკითხი, თუ ვინ იქნება სსრ კავშირის ჩემპიონი. მაგრამ ეს არ მოხდა. ტურნირის ლიდერის გროსმაისტერ კერესის პარტია ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე პეტროსიანთან იშვიათი დაძაბულობით მიმდინარეობდა. კერესი იძულებული გახდა თავი ეცნო დამარცხებულად.

პარტია ტურნირის მეორე ლიდერის ლიპნიცკისა, რომელიც თამაშობდა კონსტანტინოპოლსკისთან, დამთავრდა კონსტანტინოპოლსკის გამარჯვებით.

ტოლუშმა მოუგო ლიუბლინსკის, ბონდარევსკიმ წააგო ფლორთან, გელერმა მოუგო ავერბახს. სუეტინ-ბოლესლავსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

10 დეკემბერს ტურნირზე გათამაშდა უკანასკნელისწინა ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

მაკენასი ბრძოლის განუგრძობლად დანებდა არონინს.

ბორისენკომ ადვილად გაანადგურა თავისი უპირატესობა სოკოლსკისთან და მალე მიაღწია გამარჯვებას.

ლაზიერის ენდშპილში სმისლოვი, რომელიც ალატორცევთან თამაშობდა, ცდილობდა გამოეყენებინა თავისი გამსვლელი პაიკი. მან მართლაც მოახერხა თავისი პოზიციის გაუმჯობესება და გამარჯვების ერთგვარი შანსების მიღწევა. მაგრამ ალატორცევი დიდი სიზუსტით იცავდა თავს. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: არონინს, კერესსა და ტოლუშს აქვთ 10,5 ქულა, ლიპნიცკის—10, სმისლოვს და კონსტანტინოპოლსკის—9,5, ალატორცევსა და გელერს—9, ბოლესლავსკის—8,5, ბონდარევსკისა და ფლორს—8, მიკენასს—7,5, ავერბახსა და პეტროსიანს—7, სუეტინს—6,5, ბორისენკოს—6, ლიუბლინსკის—4 და სოკოლსკის—3 ქულა. (საკდესი)

* * *

9 დეკემბერს პალრაკის სპორტის ოსტატ ქალთა ტურნირზე შედგა უკანასკნელი, მე-12 ტური. ტურნირის შედეგები ასეთია: ვალენტინა ბელოვა—8,5 ქულა, ლიუდმილა რუდენკო—6,5, ელისაბედ ბიკოვა—5,5 და ოლღა რუბცოვა — 3,5 ქულა.

მე-19 საკავშირო პირველობის ნახევარფინალი

მეცამეტე ტურში ა. კოფმანმა დაამარცხა ნ. ტერ-პოღოსოვი. ი. სახაროვმა ფრთხილად გაითამაშა ესპანური პარტია ლ. შჩერბაკოვის წინააღმდეგ. ფიგურების გაცვლის შემდეგ მოწინააღმდეგეები მე-20 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა მ. შიშოვ—ე. სარდაროვის პარტია. ბ. რატნერმა მეფის ფრთაზე ძლიერი იერიშით აიძულა მ. ურუშაძე დანებებულიყო.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების გათამაშების დღეს ი. სახაროვმა ადვილად მოუგო ა. სარქისიანს, ე. სარდაროვმა—ლ. კალაშიანს, ლ. კალაშიანმა—ვ. ქარსელაძეს. ყაიმით დამთავრდა შემდეგი პარტიები: ი. კანიშენკო—ა. მაკაროვი, ა. სარქისიანი—ს. მოლჩადსკი, ა. ბუსლაევი—მ. პასმანი, მ. შიშოვი—ა. ბუსლაევი. ი. ბუსლაევი—ვ. ქარსელაძე. მ. შიშოვმა, რომელსაც ეტლების ენდშპილში ჰქონდა პაიკი ი. სახაროვთან, მეთოდური დაცვით მე-80 სვლაზე მიაღწია ყაიმს.

დარჩენილი ორი ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: ი. სახაროვი და ა. მაკაროვი—10½ ქულა, ბ. რატნერი—9½, ა. კოფმანი—9, ი. კანიშენკო—8½, ა. ბუსლაევი—7½ ქულა.

გარეულ ცხოველთა ახალი ჯგუფი თბილისის ზოოპარკში

ამ დღეებში თბილისის ზოოპარკში მიიღეს ტროპიკული ქვეყნების გარეულ ცხოველთა ახალი ჯგუფი.

მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ პატარა მაიმუნები, რომელთა წონა დასრულებული ზრდის შემდეგ 100 გრამს არ აღემატება. ასეთი ჯიშის მაიმუნები იშვიათია. ისინი პირველად შეიძინა თბილისის ზოოპარკმა.

მიღებულია აგრეთვე კატის ჯგუფის მტაცებელ ცხოველთა წარმომადგენელი ჯიქი, ამერიკული ენოტისებური ძაღლები, აფრიკული სირაქლემა, ჰიმალაის დათვები და სხვადასხვა ჯიშის მაიმუნები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

[illegible]

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წლის 23 დეკემბერს, დღის 3 საათზე, [illegible] „Синтез и исследование полных простых эфиров диметиленгликоля". [illegible] „Вероятность превращения позитрония в излучение с учетом кулоновского взаимодействия". [illegible]

დღეს კინოებში

[illegible]

დღეს თეატრებში

[illegible]

[illegible]